განძრიტი

ფასი 10.000 მ.

რედაქციის მისამართი: პუშკინის პასაჟი ტელეფ. 8—04

განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 16 ორშაბათი 23 ოქტომბერი 1922 № 16

არტურ ლეისტის იუბილე.

22 ოქტომბერს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში სრულიად საქართველოს ზეიმობდა ყველას მთავარ კომიტეტში მარიამ გაბაშვილის არტურ ლეისტის 40 წლის საქართველოში მოღვაწეობის აღსანიშნავად თებერვალს ქართულ მწერლობის და ცნობილის ისტორიაში ეს პირველი ფაქტია, როცა საქართველო იუბილეს უმართავს მწერალს, ამ შემთხვევაში ამას ფასდაუდებელი საკართველოსთვის. საქართველო ამ ღონისძიებით თითქოს სტატისტიკით სურს ისტორიას ეუბნებოდეს, რომ ქართველი ერი ყოველთვის ცნობდა და აფასებდა თავის ნამდვილ შვილებს, ვინც ის ან ის სფეროში ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა.

ამ ზეიმისთვის ქართველ საზოგადოებას ბევრი ემზადებოდა, ბევრი ფიქრობდა, თუ როგორ ეზეიმა ამ ღონისძიებით ქართველ ერს თავისი ერთ-ერთი ნამდვილი შვილისთვის, ვინც ის ან ის სფეროში ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა.

ამ ზეიმისთვის ქართველ საზოგადოებას ბევრი ემზადებოდა, ბევრი ფიქრობდა, თუ როგორ ეზეიმა ამ ღონისძიებით ქართველ ერს თავისი ერთ-ერთი ნამდვილი შვილისთვის, ვინც ის ან ის სფეროში ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა.

არტურ ლეისტი

„განსტრიონი"ს რედაქციის მილოცვა
არტურ ლეისტს

ჩვენმა რედაქციამ ბ. არტურ ლეისტს, მის იუბილეს გამო გაუგზავნა შემდეგი წერილი ქართულ და გერმანულ ენაზე.

„პატივო არტურ! „განსტრიონის" რედაქცია გილოცავთ თქვენ იუბილეს. რედაქცია სიხარულით აღნიშნავს, რომ ინიციატივა ამ იუბილეს გამართვის პირველად ჩვენ გიხილიათ და ასეთი გამოძახილი იპოვა ყველა ქართველში. ჩვენი რედაქცია ამ დღეს ითვლის დიდებულ ტრადიციებს ქართველ პრესისას, თქვენ მოღვაწეობას იღებ ჰუმანიზმსა და იღებ მასაგელთან ერთად და ამაში ეძებს მთავარ ძალას ქართულ მწერლობის ზრდისას. ამ თქვენთვის და საქართველოსთვის სამახსოვრო დღეს ჩვენ თქვენი სახელით ვესალმებით გერმანიის ნაციას, როგორც ახალს ამხანაგს დიდ ევროპულ ლიტერატურის ოჯახში. ჩვენ ვიცით, რომ ეს ნაციაც აფასებს თქვენ ნაღვაწს ევროპულ კულტურისას, რომელიც აუცილებელი ელემენტია ეროვნულ თვითშემეცნებისა. გისურვებთ მრავალ წელს მშვიდ და ჯანმრთელ ცხოვრებას.

რედაქცია.

არტურ ლეისტ.

დღეს, 22 ოქტომბერს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი ცნობილ გერმანელ მწერალს არტურ ლეისტს უზარმაზარ იუბილეს, მისი საქართველოში 40 წლის მოღვაწეობის პატივსაცემად.

ვინ არის ლეისტი

იგი დიდი და გულწრფელი მეგობარია ქართველი ერისა და იმავე დროს დიდი პროპაგანდისტი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ევროპის წინაშე.

არტურ ლეისტმა თავისი პირველი სიტყვა საქართველოზე წარმოსთქვა სამოცდა ათ წლის წინად, წარსულ საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს—1887 წელ. თავის შესანიშნავ წერილში „დაივწყებული მწერლობა", რომელიც დაბეჭდილი იყო ლეიპციგის ცნობილ ჟურნალში Magatin zur die literatur des In-und Auslandes.

ამ დიდებულ დღეებში არტურ ლეისტი განაგრძობს თავის კეთილშობილურ მეშობას ქართული ერის სახელის გასაცნობად ევროპიელებთან. არტური ამ დამად სამოცდა ათის წლის კაცია და მაშასადამე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანა შესწირავს მას ქართველი ისტორიისა და კულტურის შესწავლის მხატვრობაზე და სხვა საგნებზე. ეს წერილები ინტერესებდა არათუ მარტო გერმანელებს არამედ პოლონელებსაც, რომელნიც თარგმნიდნენ ამ წერილებს პოლონურ ენაზე.

ასე მუშაობდა არტ. ლეისტი ვარშავაში, სანამ მას წინ არ გადაეღობა ერთი მდიდარი პოლონელი მემამულე, რომელმაც მითხრა იგი სოფელში ყოფილის მწყემსებლად. არტური დათანხმდა წინადადებაზე, რადგან ყოველ დღიური საგაზეთო მუშაობამ, ცოტა არ იყოს, მოსწყინა და მოჰბეზრა. მემამულესთან სოფელში არტურს საკმელის სიმშვიდისა და მყუდროების გარდა, დახვდა მშვენიერი და მდიდარი ფრანგულ-პოლონური ბიბლიოთეკა და მასებრ ახალგაზრდა მასწავლებელი ფრიად განვითარებული იხელისა. არტური ჩვეულებრივი ენობის მოყვარეობით შეეჯგა ფრანგული ენის შესწავლას, ხოლო ინგლისელის ხელმძღვანელობით ინგლისურ ენასაც და ცოტა ხანში ისე გაიწაფება ამ ორ ენაში, რომ დაუბრკოლებლივ შეუთვისებს საფრანგეთისა და ინგლისის მწერლობას, კულტურასა და ისტორიას.

1881 წ. არტურ ლეისტი უკვე ვარშავაში მუშაობს და იტალიური ენის სწავლობს და რა თქმა უნდა მაღე დასძლევს ამ ენას და აგრეთვე შეისწავლის ამ ხალხის ისტორიასა და კულტურასაც. საზოგადოდ არტურ ლეისტს არ უყვარდება ენების შესწავლა და რაკი ენის შეისწავლის მერე მისთვის აღვილია ამ ენების ხალხის ისტორიისა და მწერლობის შესწავლაც. ამ ხანებშივე არტური გაეცნობს ცნობილ გერმანელ პოეტს პოდენშტედტს, რომლის რჩევით ძალიან დაინტერესდება სახოგადოდ აღმოსავლეთით და კერძოდ კი საქართველოთი. პოდენშტედტს პირადად უმოგზაურნია კავკასიაში და საქართველოში. 1845 წლებში მკვირცხლი ხასიათის არტური დაუფიქრებლივ გამოიწერს ტფილისიდან ყველა მისთვის საჭირო წიგნებს, ერთი წლის მეცადინეობის შემდეგ იგი დასწერს თავის პირველ ნაშრომს, რომელიც ზედმოვიდნეთ, „დავიწყებული ლიტერატურა" ეს წიგნი გადათარგმნა რუსულს და ქართულ ენებზე. ამ წიგნის მეოთხედი არტურ ლეისტს საქართველოში მოუწევდეს ყველა დიდი მგოსანი და მოღვაწე ელია ჭავჭავაძე. მაგრამ არტურმა ამ თავხედური მოწვევის განხორციელება შესძლო მხოლოდ 1884 წელს, როცა უკვე რამდენიმე წერილი ჰქონდა დაბეჭდილი გერმანულ ენაზე ამ საგნის შესახებ. ამ ერთის თვეს და ისევ დაბრუნდება სამშობლოში. ამ მოგზაურობას მოყვება არტურ ლეისტის საინტერესო წიგნი „Georgien" (საქართველო), რომელიც 1886 წელს დაიბეჭდა ლეიპციგში, სადაც მისი თარგმანი გამოიდის პოლონურ ენაზეც.

ხელმეორედ ჩამოდის ლეისტი საქართველოში 1885 წელს და ეხლა უფრო გულმოდგინედ შეუდგება საქართველოს მწერლობისა და ისტორიის შესწავლას, იგი უახლოვდება ქართულ ინტელიგენციას; გაიცნობს სომხობასაც, მათს ყოფა ცხოვრებას და მწერლობასაც. ერთი წლის შემდეგ არტური გამოსცემს ლეიპციგში თავის ნაშრომებს „ქართული პოეტები" რომლის საშუალებით ევროპელებს პირველად ეძლევათ შეშხვედრა ქართველების გონებისა და სულის ნაყოფს. ამავე წელს ლეისტი იღებს ჰუმანიზმის და ეხმო მასაგელის დახმარებით შეუდგება პოლონელის „ვეფხის ტყაოსნის" თარგმნას, რომელსაც დაასრულებს სამის წლის შემდეგ და რომელსაც გამოსცემს ვარშავაში 1890 წელს. ეს პირველი თარგმანი ეყრდნობა „ვეფხის ტყაოსნის" რომელიც წარუდგა ევროპელს, თარგმანს მიაქვთ დიდი ღირებულება. 1889 წლიდან ლეისტი თავს საბჭოთ გართულ გაეშურებოდა და აქ ცხოვრობს დროს გატარებულს თავის ნაწერებს „სომხური ესკიზები" და „სომხური პოეტები"

ლეისტი ხელახლად დაბრუნდა საქართველოში 1892 წ.

1896 წ. არტურ ლეისტის დიდი მოთხრობა „ნინა გურამიშვილი" იბეჭდება შტუტგარტის ჟურნალში, მოთხრობა გადათარგმნილია ქართულად ეკ. [illegible] და დაბეჭდილია „მოამბეში". მოთხრობაში დასურათხატებულია ჩვენი ცხოვრების ავკარგი წარსული საუკუნის დამლევისა.

1904 წ. ლეისტმა დაამთავრა თავისი დიდი ნაშრომი „ქართველი ხალხი" რომელიც ვრცლად შეეხო საქართველოს წარსულსა და აწმყოს. ეს წიგნი ძალიან გავრცელებულია ევროპაში და იგი მოიპოვება ყველა მოწინავე წიგნთ-საცავებში. წიგნი გადათარგმნილია მრავალ ევროპიულ ენებზე.

ერთად საინტერესოა აგრეთვე ლეისტის წიგნი „მეზვერის ლეიტერი" სადაც მეტად ბევრი რამ არის მოთხრობილი საქართველოზე, მის მოღვაწეობაზე და ურთიერთშორის განწყობილებაზე მრავალი ცნობებია აგრეთვე სომხობაზე და მათ მომქმედ ძალებზე და მოღვაწეებზე.

1906 წ. არტურ ლეისტი სხვა აქაურ გერმანელებთან ერთად აარსებს ტფილისში გერმანულ გაზეთს „კავკაზიშე პოსტე" რომლის რედაქტორ გამომცემლად თვითონ წელიწად ნახევარი იყო, ხოლო დღევანდლამდე ამ გაზეთის მთავარი თანამშრომელიცაა.

ამ დროს არტური თავის ნაშრომ ნაწარმოებს ასწორებს, ამზადებს და ავსებს. მისი წიგნების გამოცემა ნაკისრი აქვს მერლინის ურის სამეცნიერო საზოგადოებას. არტურს ცოლად ყავს აქაური გერმანელი ქალი მარია ბეიტლინგერ. არტურ ლეისტი მიუხედავად სამოც და ათი წლისა და ხშირი უქონლობისა, ჯერ კიდევ ცხოველი ადამიანია, მასთან საუბარი ყოველთვის საინტერესო და სასარგებლოა, რადგან სოციალი მეცნიერებისა, მრავალი გამოცდილებისა და დიდი ერუდიციის კაცია. მის სახეს არის დროს არ შორდება ღიმილი საამომეგობრული გამომეტყველება.

ჩვენ გვჯერა რომ ქართველი, სომხური ინტელიგენცია დღეს პატივს სცემს ძვირფას იუბილიარს, როგორც დაუღალავ მუშაკს და ყველა ხალხთა შორის მეგობრობისა და ხოლიდარობის მოციქულს.

ვალერიან გუნია.

არტურ ლაისტი

(მის სალიტერატურო იუბილეს გამო)

„ბახტრიონის" ფურცლებზე დიდხანიდან და დიდხანს პატივცემული არტურ ლაისტი, როგორც ლიტერატორი, რომელიც თითქმის ნახევარ საუკუნის მანძილზე დასავლეთ ევროპელთ აცნობდა ქართულ მწერლობას. მკითხველთ გააცნეს, თუ რა ამაგი დაგვდო ბ-ნმა ლაისტმა ამ მხრივ ქართველობას.

აღსანიშნავია ამ ადამიანის კერძო, ინტიმური ცხოვრებაცა. როგორც ვიცით, ბ-ნი ლაისტი მეტად დაახლოვებული იყო ჩვენის საზოგადოების ყველა თვალსაჩინო პირებთან და მათ შორის ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც ძნელად თუ ვისმე უმეგობრდებოდა. ამჟამად იყო რომ სამუდამო მოკლა ი. ჭავჭავაძეს, თუ დაიახლოვა და დაუახლოვდა არტურ ლაისტს, ქართველთა ამ გულწრფელსა და უნგარო მეგობარსა, რომელიც ჭირსა თუ ლხინის დროს გვერდით გვედგა, სიტყვით თუ საქმით ეხმარებოდა ჩვენს ქვეყანას და რომელმაც საქართველო მეორე სამშობლოდ გაიხადა და თავის ნამდვილი სამშობლოზე არანაკლებ შეიგუა და შეიყვარა.

დაგვიახლოვა არტურ ლაისტი განსაკუთრებით განვლილმა მსოფლიო ომმა. ქართველთადმი გერმანელთა სიმპატიის გადმოცემის შუამავალი ტფილისში არტ. ლაისტი გახდა. მით უფრო, რომ საერთო მტერმა—რუსთ ხელმწიფის მთავრობამ ომის დროს, სხვა გერმანელებთან ერთად, ბ-ნი ლაისტიც პატიმარჰყო და მოახლოვებინა [illegible] ციხეში. [illegible] წლის განმავლობაში. ამ ტყვეობამ, ცოტას გაწყდა, თან არ გადაიტანა სუსტის გულის პატრონი არტ. ლაისტი.

1918 წ., საქართველოში გერმანელთა შემოსვლის შემდეგ, გერმანელთა და ქართველთა კავშირი და ურთიერთობა ამჟამად დიდად გაჩაღდა. [illegible] ბ-ნს არტ. ლაისტს, მიუხედავად ავადმყოფობისა, ერთვალ საქმეში გართულსა ვხედავთ, ერთვალ, ფაცა-ფუცში, ცდილობს უფრო მჭიდროდ დაგვეახლოვებინა გერმანელებთან, მათი გული ჩვენ მოგვეგებინოს და ჩვენი მათ; ეხმარება ყველა ქართველს ახალგაზრდას, ვინც კი გერმანეთში მიდის სასწავლებლად, [illegible] რიგების აძლევს, ბარგ-ბარხანდაც(?) წერილებს აძლევს გერმანეთში პროფესორებთან, გზას უკვლევს. ცდილობს ბ. ლაისტი საქართველოდან გერმანეთში გაემგზავროს მთელი რიგი ქართველი ხელოსნებისა ხელობის უკეთესად შესასწავლად; გერმანეთის მთავრობასთან შუამდგომლობს-გამოიწვიოს გერმანეთიდან ხელოსნები-ინსტრუქტორები ქართველთა შორის სხვა-და-სხვა ხელობის გასავრცელებლად თვალსაჩინოდ, პრაქტიკულად... აარსებს გერმანულ-ქართველთა საკულტურო საზოგადოებას, გერმანულ ენის კურსებს... ერთის სიტყვით ბ. არტ. ლაისტი უძლესად მონდომებულია გერმანული კულტურა დაამყაროს პატარა საქართველოს, ამ კულტურას ზიარონ ჩვენი ქვეყანა. და არაჩვეულებრივი კიდევ ის არის, რომ როცა ბ. არტ. ლაისტი ამა თუ იმ ქართველს ეხმარება, მეგობრულ ხელს უწვდის, არ ეზარება... რას ვამბობ?.. პირიქით, თითქო უხარის, რომ ერთი კიდევ ზედმეტი შემთხვევა ეძლევა ქართველ კაცს პატივი სცეს, სამსახური გაუწიოს.

არტურ ლაისტი ჩვენს სამშობლოში პირველად მოვიდა 1884 წელს. ივ. მაჩაბლის „დროების" იმა წლის 118 და 119 №-ში აწერილია, თუ როგორ დაუხვდა მას ტფილისში ქართველი საზოგადოება. საინტერესოდ მიგვაჩნია 40 წლის შემდეგ მოვიგონოთ ეს დახვედრა. წერილს სათაურად აქვს „ჩვენი სტუმარი არტურ ლეისტი თბილისში".

„ამ დღეებში ესტუმრა ჩვენს ქალაქს ბ-ნი არტურ ლეისტი. ეს ის ლეისტია, რომელმაც რამდენიმე წერილი დაბეჭდა ევროპიულ ჟურნალ-გაზეთებში საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზე და რომელიც ეს სამი წელიწადი იქნება, რაც დიდის ხალისით და სიყვარულით სწავლობს ქართულ ენას, ისტორიას, ლიტერატურას, თვალყურს ადევნებს ქართველთ ცხოვრებას და წარმატებას და თავის შესწავლისა და ცოდნის ნაყოფს უზიარებს ევროპის მკითხველ საზოგადოებას. პირველი მისი წერილი, სახელად „მივიწყებული ლიტერატურა", იყო დაბეჭდილი ერთს ნემეცურ ჟურნალში, რომელსაც ეწოდება: „Magazin fur die literature die in-und Auslandes" („ჟურნალი ჩვენის ქვეყნისა და უცხო ლიტერატურისა") და ქართულად იქმნა გადმობეჭდილი მაშინ ჟურნალ „ივერიის" თებერვლის წიგნში. მეორე წერილი, რომელიც აგრეთვე ჩვენს თანამედროვე ლიტერატურას შეეხებოდა, იმავ ჟურნალში იყო მოქცეული და ჩვენს გაზეთში გ დაიბეჭდილი.

ამ ორ წერილს გარდა ერთი დიდი და ვრცელი წ[ე]რილი მან წინად არტურ ლაისტმა დ[აბე]ჭდა პოლიტიკურ ჟურნალ „[illegible]". ჩვენ წავიკითხეთ ხელნაწერში თარგმანი ამ წერილისა, რომელიც „ივერიის" უკანასკნელს წიგნში იბეჭდებოდა, და თუმცა თითო-ოროლა შეცდომა ეპოვება, მაინც თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ წერილი დიდად საინტერესოდ არის დაწერილი და წარმოადგენს მეტად მართალს და უტყუარს მსჯელობას არა, თუ ჩვენს ეხლანდელს ლიტერატურასა და მდგომარეობაზე, არამედ ჩვენს წარსულს ისტორიულს ცხოვრებაზედ, ზრდასა და განვითარებაზედ, სარწმუნოებაზედ, მწერლობაზედ, მხატვრობასა და არქიტექტურაზედ და სხ. და სხ.

პარასკევს ივნისის 1 ბ. ი. ჭავჭავაძემ მიიწვია სადილად არტურ ლაისტი და დაუპატიჟა ყველა ჩვენი მწერლები, ჟურნალისტები და ლიტერატორები. სამის ნახევარზე მასპინძლის სახლი გაივსო მოწვეულებით, რომელთაც იგი სათითაოდ აცნობდა საპატიო და საყვარელ სტუმარს სადილზე ი. ჭავჭავაძემ დალია სადღეგრძელო ლეისტისა, და მიმართა მას მოკლე, მაგრამ კოხტა და გრძნობით სავსე სიტყვით, რომელიც მან ქართულად წარმოსთქვა და ნემეცურად გადაუთარგმნეს.

ამ სიტყვას ჩვენ შემდეგ მოვიყვანთ: ეხლა კი ვიტყვით, რომ ბ-ნი არტურ ლაისტი სასიამოვნო და გონიერულის სახის პატრონია, სიდინჯე და დარბაისლობა ნამდვილი ნემეცურის აქვს. ცოტა გამხდარი და ეგ 35 წლის კაცი იქნება.

აი ის მოკლე სიტყვა, რომლითაც მიმართა პოეტმა-მასპინძელმა პატივსაცემს და სასურველს სტუმარს მისის სადღეგრძელოს დალევის დროს:

„დღეს ჩვენ შორის ბრძანდება უცხო კაცი და სტუმარი, უცხო და სტუმარი მარტო იმითი, რომ სხვადან მოსულია, ხოლო სულით და გულით ჩვენი მახლობელია, ჩვენი თავისიანია. ამიტომაც ორნაირად სასიხარულოა მისი ჩვენ შორის ყოფნა. ქართველმა იცის პატივისცემა უცხოსი და სტუმრისა და უფრო დიდი პატივისცემა თავისის სულით და გულით მახლობლისა და თავისიანისა. მაგრამ ჩვენ სხვა სიამოვნებაც უნდა მოგვიძღოდეს ამ შემთხვევაში, ბ-ნი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კისრად იდო შუა-კაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა—ჩვენი გულში ამონაწები სიტყვა, ჩვენის ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელნიც ქვეყნის წარმატების გზაზედ მეთაურნი და მესვეურნი არიან. თუ აქამომდე შორიდან ვუყურებდით ბ-ნს ლაისტს, დღეს აქ მობრძანებულა, რომ ახლოს გაგვიცნოს, იმედია, რომ ახლოდ გაცნობილი ქართველი უფრო მეტად შეიყვარებს თავის თავსა. იმედია, რომ ამ სიყვარულით ჩაგონებული პირუთვნელი სიტყვა ბ-ნ ლაისტისა მოჰფენს მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადაც არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან, და იმ პატარა სამოთხეში, ჰსცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელიც უცდის დიდი გულით კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის. „ღმერთმა აცოცხლოს ბ-ნი ლაისტი".

სადილს ათი საათი გახლდათ, როცა საპატიო მასპინძელმა და რამდენიმე მოწვეულმა, ძვირფასი სტუმარი წაიყვანეს მტკვრის ნაპირს მდებარე „ვაზის ბაღში, სადაც გულგამშლილად ილხინეს და ტკბილ მასლაათს შეექცნენ ხევის ქვეშ, საუცხო იუზის ნაპირზედ გაშლილ ქართულ სუფრასთან; ქართულს, ნემეცურს და პოლონურს ისტორიასა და ლიტერატურაზე საუბარი ერთი მეორეს ზედ მიჰყვებოდა, ერთი-მეორეს ავსებდა...

ვახშმის დროს გულითადი სადღეგრძელოები მასპინძლისა(?) აღლევდნენ(?) თავისი გრძნობიერის სიტყვით დალევა-ბრუნდა, ღუდუკი და სალამური...

— ჩინებულად შეთვისებულია ეს მუსიკა, რომლისთვისაც მე მესმის, თქვენს ნაციონალურს ისტორიულს ცხოვრებასა და თავგადასავალთანათ—სთქვა შორით მოსულმა სტუმარმა...

ილ. ჭავჭავაძის სადღეგრძელოს დროს პატივცემულმა სტუმარმა, სხვათა შორის, უთხრა მას:

— როცა მე თქვენს ლექსს „მტკვრის პირზედ" ნემეცურად ვსთარგმნიდი, მაშინ როგორ წარმოვიდგენდი, თუ იმავ მტკვრის პირზე მე თქვენთან ერთად ნადიმად ჯდომა მოგვიხდებოდათ...

ვახშმის შემდეგ, ღამის თორმეტ საათზე, სტუმარი მიაცილეს თავის ბინაზე.

„მეორე დღეს არტურ ლეისტი იყო „წერა-კითხვის საზოგადოების" სამწერლოში. ნახა სურათები რუსთაველისა და „თამარისა, გულმოდგინედ დაათვალიერა „საზოგადოების" ხელნაწერთა ბიბლიოთეკა და სათითაოდ გადასინჯა ეტრატზე ნაწერი წიგნები მინიატიურულის მხატვრობით. გასინჯა აგრეთვე „წერა-კითხვის საზოგადოებისა" და რამდენიმე ქართულად წიგნთხა.

თითქმის ორმოცმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც ილია ჭავჭავაძემ არტურ ლეისტს ჩვენს ქვეყანაში მშვიდობით მოსვლა მიულოცა და იმედი გამოსთქვა, რომ არტური ლეისტი ჩვენსა და გერმანელთა შორის შემაერთებელ ხიდად შეიქმნება. და დღეს, როცა მადლიერი ქართველი საზოგადოება ზეიმობს არტურ ლეისტის წარსულს მოღვაწეობას, თამამად შეიძლება სთქვას, რომ ჩვენის ცხოვრების დიდა-ბრძენ პოეტს სავსებით გაუმართლდა თავისი იმედი. არტურ ლეისტმა პირნათლად შეასრულა ეს მისია შუაკაცობისა ჩვენსა და ევროპას შორის, თუ მაშინ მოხარულნი იყვნენ არტ. ლეისტის აქ მოსვლითა, დღეს უკვე მადლიერნი ვართ მის მიერ გაწეულ ამაგითა. და ახლა ყოველი ქართველი ეუბნება ჩვენს მოამაგეს: „გმადლობთ და ისევ გმადლობთ ჩვენო კეთილო გულწრფელო მეგობარო, ბ-ნო არტურ ლეისტ".

თ. სახოკია.

ქართული პოეზიის რეფორმაცია.

„ცისფერი ყანწელები"

ქართველ მწერლობას და საზოგადოებას უნდა მიულოცო ერთი გარემოების მოვლენა, რომელიც არ არის დიდს ღირსებას მოკლებული. ეს მისალოცი გარემოება გახლავსთ შემდეგი: 20 საუკუნის დამდეგს, ქართულ პოეზიას მოევლინა ერთი ახალი გამკვრივებული მალამო, რომელსაც ქართველს მწერლობაში „ფუტურისტებს" უწოდებენ (იგინივე „ცისფერ ყანწელები.—სიმბოლისტები).

ზოგნი ამ მოვლენას ჰკმობენ და ჰკმობენ დღესაც, ოღონდ როცა მე ამათი ცნობა არა მქონდა და პირველათ ქუთაისში გაჩნდნენ, ბევრნი მე მეუბნებოდნენ, რომ ფუტურისტები სულ ეჩიჰოები არიანო.

მეც მჯეროდა ეს გარემოება, რადგანაც ჩემი ყურები მობეზრებული იყო უაზრო ტექსტის კითხვით და მწყინდა რომ განათლებულ პოეტებს არ შესწევთ ლექსის ცოდნა და უნარი.

ჯერ კი მათი ნაწერების კითხვაზე კი არა, მათი წიგნების ხელში აღებაც კი მეძაგებოდა, მაგრამ განვლო დრომ, დღეს მეახლა ერთ ალაგას მათზე ლაპარაკი, ხელ, ზეგ და ბოლოს პირადათ გავიცანი ზოგი ერთი მათგანი. მქონდა მათთან საუბარი და ამ საუბრის დროს, იგინი ისეთი უწიგნონი და უვიცები არ აღმოჩნდნენ, როგორც მე მესმოდნენ. ბოლოს მეც მოვიწადინე ფუტურისტების უკეთ გაცნობა. მათი ნაწერების კითხვას გაცნობამ, მათმა პირადობის აწონდაწონამ და მათი პოეზიის დაკვირვებამ მე სულ სხვა სურათები დამიხატა თვალწინ და სხვა ნაყოფიერი საიმედო ნუგეში მომცა ქართული პოეზიის სასარგებლოდ.

მე მოგახსენებთ ამას ბევრის დაკვირვების და გაცნობის შემდეგ, არ თუ იმითი, რომ მე ამას ულაპარაკობდე ზერელე ქვეყნით და ჩემის ალლის ალებით, ეს არ შეიძლება, ვინაიდგან მათში ქართის ამბლების მსგავსი, პალმბრუნი პოეტებისათვის არიან გახლავსთ, ეს „დაღლაბეული პოეტები და მწერლები" ამალი მოვლენა არიან უკრიმი: ეს სიტყვა მე ვიხმარე 1879 წ. გაზეთ „დროებაში" და ყველა იმ დროის მეღრძოლ პოეტებს უწოდე „დაღლაბეულ პოეტები" და ეხლაც მიტომ ვიხმარე ეს სიტყვა.

ასეთები არიან არის „ფუტურისტებში, ვინაიდგან მათში არიან ისეთი პოეტები, რომელთაც თავიანთი საკუთარი სწავლა აქვთ მიღებული, ზოგი უმაღლეს სასწავლებლებში არის, ზოგი საშუალო სასწავლებლებში, ზოგი სამოსწავლო(?) გარეთაც არის ნასწავლი. მათში მე ერთიც ვერ ვნახე ისეთი პირი, რომ მას არ ჰქონდეს ფუძეები გახსლებული და იყოს დიდი ნიჭიერი.

ყველა მათგანი კარგათ იცნობს ქართულ მწერლობას, ქართველი ისტორიის, ყველა მათგანი არის მტკიცე მოწინააღმდეგე თავის სამშობლო ქვეყნის, თავის სამშობლოს ისტორიის, მწერლობის და ქართველი ერის კულტურული დაწინაურების და ამაღლების, მაშასადამე ამათზედ ზერო ქვეყნ მხოლოდ არაც გამოდგება, ვინაიდან მე მქონდა საქმე და საგანი ისეთ განათლებულ კაცთა კრებულთან, ქართული პოეზიის ისეთ მუშაკებთან, რომელთაც განათლებაც აქვთ, თაყვანისცემის ცოდნა და სწავლაც, მაშასადამე ამათი ნაწარმოების შესახებ ცილიდობით ლაპარაკი არ გახლავსთ კარგი და მისაწონი.

იგინი ისე არიან მოწმობდებულნი, რომ მათი სახელი არავის ქონებობას და მამბროვლობას არ ითხოვს. ეს არც მათი პოეზიისთვის არის საჭირო, რადგანაც მათი პოეზიაც შემკობილია თვითმპყრობლის ფრანგულების ნაკადულით შემკლებულობით და მაშასადამე. მათგან ერთიმე სხვისაგან ბაღში და ქუჩა-ქალაქების მახლობლად(?) ჯენი არა სჭირიათ, ვინაიდგან ფუტურისტების პოეზიას აქვს ისეთი კიდობანი სალაროსი, რომელიც ყველა ადამიანი ვერ მოიპოვებს და ვერ შეიძენს მას, თუ იგი დაბადებიდან არ არის განვითარებული და თუ მას მთელი შორს მხედველობა არა აქვს შეძენილი.

როგორც შევიტყე „ფუტურისტების" ამხანაგების თვითეულ პირის ნაწერებს და სურათს მათ პოეზიას, მათებური ლექსით ლექსებს ჯერ კიდევ ... მას თქვენ ბრძანებაც კი ვერ გახედავს, თუ მას „ფუტურისტული" მიმართულების გაგების შეგნება არა აქვს. ერთის მხრით ფუტურისტობა არის რთული გამოთქმა ქართული პოეზიის და ეს სიმრთელე პოეზიას დიდი ისტორიული ვაზიარა ქართულს მწერლობის ისტორიისთვის.

ამათი პოეზიის გვერდს უნდათ დაპირდეთ ამჟამინდელი ქართულ პოეზიის, ამათ ნაწერებში კაცი ნახავს ისეთ სტრიქონებს, ისეთ სურათებს, ისეთ ცნობებს და კითხვებს, ისეთი რითმების დაფერილებით, ხაზგასმული მათ სიტყვების უკეთ მონიშნული, მაგრამ მიუხედავად ამის მაინც სიუჟეტების და ვანაიცების ცოდნით სავსის და ნაზ ფერში ქართულ ენის კილოსაბის სინატიფით და, მათი ნაწერი რაც გინდა მაღალი იყოს, მაინც შეიძლება მასში შეიტყოს იარადოს(?) ცისფერების ხელოვნება და ამ სურათებისათვის ვინაც თავის შესახებ გამოსახატავ სიტყვების სიმდიდრეს.

ამ გვარათ თუ შენ, რომ ფუტურიზმობა არც ადვილი საქმეა და იგი არც უბრალო მოვლენა გახლავსთ ქართველს მწერლობაში.

ამიტომ ამათი მოვლენა ქართულს მწერლობაში, ჩემი მოსაზრებით დიდის მოვლენათ, ვინაიდგან ისინი ქართულს პოეზიას მიაწვდიან თავის საკუთარ შესაფერს ლექსებს და პოეზიის მიმზიდველ პირისათვის, ანუ პოეტ მკითხველთვის აზროვნება და რითმების შესაფერს ცოდნას, განათლებას, მწერლობის ისტორიის ცოდნის, ევროპის ერთა სიტყვიერების ცოდნასაც და მასთან სხვასაც ბევრ რამეს, რის ცოდნა და შეგნება დღემდე ქართული პოეზიის მიმდევრებში ბევრს არ აქნდა.

ისეთ კრიტიკოსთა ცოდნაც კი არა, დღემდე ქართულს მწერლობაში იყვნენ ისეთი მკრიტიკები, რომელთაც განათლება და სხვა და სხვა საგნების ცოდნა, არამედ მათში ზოგმა ქართული კითხვაც არ იცოდა, მაგრამ მაინც იგი პოეტათ იწოდებოდა თავს. ქართულს მწერლობაში ისეთი დემოკრატიზაცია იყო გამეფებული, რომ ქართველებში, თბილისში ყველა პოეტი იყო და ყველა მგოსანი.

ისე იყო ეს მოწყობილი, ვინაიდგან ქართულს ენაზედ ლექსების თხზვა და ისიც საკუთარი ლექსების, ხალხურების ბაიათების კილოთი, ყველას ეხერხებოდა, ოღონდ ეცხოს არშიყობის შნო ჰქონოდა, თორემ იგი ლექსების წინაშე ნას ადვილად მოეწყობოდა, მისთვის ლექსების წერა და ბეჭდვაც ერთობ ადვილი გახლდათ.

ეს მოლაშქრეობა და მუხამბაზების წერა, თავადობის, გლეხის, გარიგელის, მიკიტნის და სხვებსაც კიდევ ბევრო ასეთების ისე ადვილი იყო, რომ თბილისში საკუთარის კილოთი ბაიათების ყოჯახ ადვილად მისდევდა ყველა ვაჟკაცი და ხანი, ყველა ხელოსანი და მუშაც, ქართველებს გარდა ისეთ საკუთარ ლექსების თხზვას და ჯილდოს თბილისის, ანუ საქართველოს სომხებიც მისდევდნენ.

ამიტომაც იყო, რომ თბილისის სომხებშიაც კი ყველა მგოსანი იყო და ყველას პოეტათ მიაჩნდა თავის თავი.

ბაიათ ავტორიც პოეტი იყო, ბაიათ ორეველიც, ხალხიანი კილოვაც, მკვეტისი გამომქვეც, სირაჯი ანტონიც, ერთის სიტყვით ბუღიო ლილებიც, [illegible] ანიშვილი, ხარახი ბაბელი, [illegible] ლექსი, [illegible] ამირიოვლი, [illegible] პოეტს ლექსით [illegible] ადგილი, ასი, ორასი და სამასი კი არა ორამდე ათასი.

ქვეყნის პოეტები იყვნენ და ახლაც პოეტი იყო, ნ. ბარათაშვილიც, ილ. ჭავჭავაძე, აკაკ. წერეთელიც და გრიგოლ ორბელიანიც, მათში კარგადაც ილირ იყო, ყველას კილოთი გაუგია ბეღში და ლექსებს თქვენიც, ამიტომაც იყო, რომ ყველა იგინი აცხადებენ მეც პოეტი ვარ, რა უჭირს, რომ მე ბარათაშვილი არა ვარ, ჭავჭავაძე, აკაკი და სხვანი, მეც ლექსებს ვწერ და ისინიც, ამიტომ მეც პოეტი ვარ და ისინიც, ჩემი ლექსები რითი არის იმათ ლექსებზედ ნაკლები.

ასე ლაპარაკობდნენ ბევრნი და ამას ფერმოცი(?) ... იყო ქართულს მწერლობაში და, მათ ვინ რას დაუშლიდა/ არავინ, ცენზურა აძლევდა ნებას და ისინიც ბეჭდავდნენ თავის ნაწარმოებს.

მათ შესახებ ქართულ გაზეთებშიც ხშირათ სწერდნენ წერილებს და სახავდნენ მათს ნაწერებს და მათ ცოდნა-

საც. მაგრამ ეს ძრახვა მათზედ არავითარს გავლენას არ ახდენდა და იგინი უფრო უარეს სჩადიოდნენ.

ეხლა ფუტურისტების მოვლენა კი, ეს ისეთი დიდებული საქმეა, ეს ისეთი სკოლა არის პოეზისა, რომელიც ასეთ ბელრანგ პოეტებს ხელიდან კალამს გამოაცლის, ქართველ პოეზიის ასპარეზიდამ მათ სულელის ადგილათ გააძევებს და მათ ქართველ პოეზიის ასპარეზიც გაუსუფთავებს. კარგა ბემოსსენებულისთანა მაღალნაგებობისაგან, ეს მიხდება ადვილათ ჩვენში, თუკი ფუტურისტების პოეზიის კილოს სკოლა თავის სიხარულით აღორძინდა. მაშინ მეტი გზა არ ექნებათ უსუფთაოთა და უკუღმა, რამ მათ ლექსების ყღანას თავი უნდა დაანებონ, რადგანაც მათებური ლექსების წერას თავის მაზანდა სასტიკათ გაუხდება.

ფუტურისტების კილო ამ ცნებეს ასეთებს შემდეგს: ჯერეთ, წადი ისწავლე, გაბნადება მიიღე. ცხოვრებას დააკვირდი, მისი ავი და კარგი შეისწავლე და მერე მოდი და სწერე შენი ლექსები თუ არა და დღეს, ანუ დღეიანდლის საზოგადოებისთვის უმეცარ კაცთაგან ნაწყობნი ლექსები აღარ კმარა, ცხოვრება ასეთებს აღარ საჭიროებს.

ამიტომ დღეს ქართველ საზოგადოებას და მწერლობას ეკლოგათ ამ მოკლენას და თან ესურვებთ მათ წრფელს გულით, რომ მათგან შექმნილი და მონარეკებული პოეზიის სკოლა ქართულს წერლობაში აღორძინდეს და წინ წაიდეს, რაც ქარიულს მწერლებს და პოეზიასაც გაეწიეს დიდს სამსახურს.

ამიტომ ვიცით ამ ფუტურისტების წარმომადგენლებსაც ვალოცავ მეტს სიმხნეს და გულადობას, რომ მათ ვე ღი არ გაუტყდეთ საქმეზედ გული არ აიცრუონ და თავისგან არჩეულ კილოს სკოლა ქართული მწერლობის ასპარეზზედ მძლავრის სინათლით გააჩაღონ, მათი პოეზიის კილოს აქვს მრავალფეროვანი მნიშვნელობა და მას დიდი მოსავალიც ექნება ქართულს მწერლობაში. ამითის მეოხებით დღეის შემდეგ ქართველებში ეველარც ადგილათ გაჩნდებიან ისეთი მჯლაბნავნი, როგორნიც აქამდის სჩნდებოდენ უადგილესათ.

ამ წერილის დასასრულ ვიტყვით შემდეგ შენიშვნას:

ჩვენი შეგნებული ინტელიგენცია და დაწინაურებული მწერლებიც, ჩვენს აწინდელს ცხოვრებაში, ყველა დარგის წარმატებაში ეეოლუციის კანონებს მისდევენ აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენსა მებაღეთე მჯლაბნავებმა და აწუტებმა გარდა პოეზისა, მარჯვენს ქართული ენაც თავისი სომხური კილოთი, ვიხიდან აწუღები მომატებულ სიმხნეს იყენენ და მთავარი აწუღები სულ სომხები. ქართველებში იყვნენ მესტვირეები, რომელთაც შესწევთ ენის სისუფთავე და მარილიანი თქმა. სამწუხაროდ, დღესაც ამ აწუღების გალტერატურებული მემკვიდრეები ძნით დღესაც ხშირს აყენებენ ქართულ ენასა და ქართულ პოეზიას და ეშორჩილებიან მას.

მეც ამას ვსთვლი ჩემი წერილის უმთავრეს საფუძვლათ და მეც ვალიარებ იმასაც, რომ ქართული პოეზიაც უნდა მიდიოდეს წინ იმავე ევოლუციის კანონებით.

ეხლა დროც გახლავსთ ამისი და აი სწორეთ ამ ფუტურისტების მოვლენას ესთული ქართული პოეზიის გასუფთავება და გაწმენდის მალამოთ.

ზაქარია ჭიჭინაძე

ᲙᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲒᲘᲡ ᲡᲘᲐ

თანახმად სახ. განათლების კომისარიატის შეკრებილობის, სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა—მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის და პედაგოგიურ ასპარეზზე დამსახურებულ მოღვაწეთა სია, რომელთაც 1-ლ ოქტომბრიდან დაენიშნათ პენსია,—1-ლ კატეგორიის 3,000,000 მან., 2—2,500,000 მან; 3—2 000,000 მან.

1-ლი კატეგორია.

პრეფესორები: 1) მელიქიშვილი ა. 2) ჯავახიშვილი იც., 3) ჯანაშვილი მ., 4) ცაგარელი ი., 5) კეკელიძე კ., 6) წერეთელი გრ., 7) გეტმანი ვ., 8) გამბაროვი.

მწერლები. 9) კლიაშვილი დ., 10) მაყაშვილი კ., 11) ბარნოვი ვ., 12) არაგვისპირელი შ., 13) განდეგილი დ., 14) მღვიმელი მ., 15) დუტე მეგრელი 16) ჯიქინაძე ხაქ., 17) გაბაშვილი ეკ., 18) ერისთავი-ბოლქვაძისა, 19) თუმანიანც ა. 20) ღვინტი არტურ, 21) რომაჯიძე გრ., 22) ილია ჭავჭავაძის ქერიე, 23) ვაჟა-ფშაველას ქერიე.

მხატვრები: 24) აბაშიძე, ვ., 25) გუნია ვ., 26) ტერ-დავითიანი, 27) საფაროვ-აბაშიძე, 28) მესხი ეფემია, 29) ჩერქეზიშვილი ე., 30) ჩხეიძე ნინო.

კომპოზიტორები: 31) ბალანჩივაძე მ., 32) არაყიშვილი დ., 33) ფალიაშვილი ზაქ.

მოქანდაკე: 34) იაკობ ნიკოლაძე.

მხატვრები: 35) გაბაშვილი გ., 36) თოიძე მ.

2 კატეგორია.

პროფესორები: 1) კარიჭაშვილი დ. 2) აბულაძე იუსტ., 3) გორგაძე ს., 4) სახაროვი ნ., 5) ასაფური ს. 6) ვილაუ ქ.

პედაგოგები: 7) გომელაური ი., 8) გრიშხნოვის., 9) ზედგინიძე ია., 10) თაქთაქიშვილი მ., 11) ხან-ყარლოს, 12) მდივანი ა., 13) მირიანაშვილი ა., 14) მიქაბერიძე ა., 15) ლ. ბოცვაძის ქერიე, 16) რატიშვილი ი., 17) სუნდუკიანც ი., 18) ყაუხჩიშვილი მ., 19) გაბაშვილი მ.

მწერლები: 20) მგალობლიშვილი ს. 21) მირიანაშვილი პ., 22) ფანცხავა ია. 23) სახოკია თ., 24) ეკალაძე ია., 25) წერეთელი ა., 26) მაჭავარიანი ი., 27) ღორთქიფანიძე ნ., 28) ხუნდაძე სილოვან, 28) შიუკაშვილი ნ., 30) ნაკაშიძე ნინო, 31) რუხაძე ვ., 32) ბახანა, 33) აკოპიანა, 34) დადიანი შ. 35) რამიშვილი ტ., 36) ფანცხავა რ., 37) ნ. ლომაურის ქერიე, 38) ნ. ჩხეიძის ქერიე, 39) ცახელის ქერიე, 40) ეედოშვილის ქერიე, 41) ს. მესხის ქერიე, 42) სარაჯიშვილის ქერიე, 43) ლალიონის ქერიე, 44) ან. ფურცელაძის ქერიე, 45) პროფ. ყიფშიძის ქერიე.

მხახიობები: 46) აბაშიძე ტასო, 47) გამყრელიძე ვ., 48) ჯაფაშიშვილი ნ., 49) იმედაშვილა ა., 50) კარგარეთელი-ქართველიშვილისა, 51) გოცირიძე ნ., 52) დაეითაშვილი ნ., 53) მაისურიან, 54) კოტე მესხის ქერიე, 55) კეტე ყიფიანის ქერიე, 56) ვ. ალეკსი მესხიშვილის შვილი.

კომპოზიტორები: 57) ქოროშვილი ა., 58) კარგარეთელი ია., 59) ფოცხვერაშვილი კ., 60) ნ. სულხანიშვილის ქერიე.

მხატვრები: 61) ბრეველიშვილი ა., 62) გრინევსკი გ., 63) მშერლინგი ა.,

არხიტექტორი: 64) კალანძი.

3 კატეგორია:

პედაგოგები: 1) გარსევანიშვილი ა. 2) ვარდანაძიძე შ., 3) პეტროშევსკაია შ. 4) შარაშიძე ნ. 5) ყიფიანი ს., 6) ხოკუეანიშვილისა, 7) იაშვილი ს., 8) ნაცვალიშვილი ვ., 9) ბძალაძე ლ., 10) ხორბელაძე ი., 11) კონიაშვილი შ., 12) გოგოლაშვილი ეკ. 13) კანდელაკი ვ., 14) გამყრელიძე ი., 15) ჯაფარიძე ტ., 16) ჯოლიშვილი ე., 17) ჯორჯაძე ს., 18) ოცხელი ს., 19) კობიაშვილი. 20) დამენკო ოფანი, 21) კანდელაკი ნ.

მწერლები: 22) ავალიშვილი ნ., 23) ყიფიანი კ., 24) ზომლეთელი, 25) ახალანი, 26) ირემელი პ., 27) ბაბილინა, 28) მესხი დ., 29) ელეფთერიძე ი., 30) ვართაგავა ი., 31) ახვლედიანი ა., 32) ქურნია ი., 33) ნიკოლაშვილი ი., 34) კერესელიძის ქერიე, 35) ყიფშიძის ქერიე, 36) ნაკაშიძე ი., 37) პროფ. ს. ავალიანის ქერიე.

მხახიობები: 38) ახოსპირელის ქერიე, 39) ბალიკაშვილის ქერიე, 40) ახალშენაშვილის შვილი, 14) ბალანჩივაძე ვ. 42) აწყურელი დ., 43) ჩარკვიანი დ. 44) ზაბელა, 45) ვარდენი, 46) სვიმონიძის ქერიე, 27) მირაგიანის ქერიე, 48) მდივანი შ., 49) ანდრონიკაშვილი ქ.

ᲞᲔᲠᲒᲐᲠᲔᲢ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲐᲫᲔ

წელს 15 ნოემბერს პერგარეტ ბოუტმანს დაბადებიდან 60 წელი უსრულდება.

ჰ. ბოუტმანი დაიბადა 1862 წელს გერმანიის სილეზიაში (ობერსალცბრუნში) სასტუმროს პატრონის ეზოში ოჯახში.

ბოუტმანის მამის წინაპრები ფერჯები იყვნენ. ჰ. ბოუტმანმა სწავლა დაწყო ადგილობრივ სკოლაში, შემდეგ შეიქნა ბოსლავის გიმნაზიაში, ბოლოს კი იენის უნივერსიტეტში გადავიდა. ახალგაზრა ბოუტმანი დაინტერესდა ფილოსოფიურ საგნებით, უფრო ხელოვნების დარგს მიაქცია უურადღება და პოეტებად ნაწილს სწყალობდა ჰაინეს, მიტეებად ნაწილს სწყალობდა ჰაინეს, მიტეერთან, ქნდელებს და სასცენო ხელოვნებას.

იგი ერთ ხანს გატაცებული იყო დარვინის თეორიებით, კარლ მარქსის იდეებით, მაგრამ ეს მალე შეიცვალა ახალგაზრა მეუნიერს და მთელი თავის უურადღება ხელოვნებას მიაქცია.

1889 წელს მან დასწერა დრამა: „ბზის ამოსელის წინ". ამაეე წელს ეს პიესა დაიდგა სცენაზე ბერლინის ლესინგ თეატრში და დიდი აეარზეური გამოიწვია.

დრამა „ბზის ამოსელის წინ" მაღეენებელი იყო ახალი ხელოვნების დაწეების დრამატიეულ ლიტერატურაში. ეს იყო ესტეტიეურ რევოლიეცია. აქედან იწყობოდა ახალი ხაზები და და ახალი ძიება ხელოვნებაში. ძირეულად ენიელ ხოლმე ცდილნენ ეს ხაზები ნატურალიზმის სახით თავისი რომანებით, მხოლოდ ჰაუპტმანმა დრამატიეულ ლიტერატურაში.

ჰაუპტმანის გმირები არ იყვნენ ნატურალიზმის მოეუმეობით გამაშტერებულნი. არც ფოტოგრაფიეულად ახაზულნი. ისეთიეული ჰაუპტმანის მიერ შექმნილი პირნი უპირველესად არიან დიდი ნების ეული ბატონებულნი. მათი მოქმედება საესეი დრამატიეულ მიღილ განცდით და ეს სიმაღლე გმირების, ეს დიდი სულის ეკეთება დიდად დაშორებული იყო ცხოვრების უბრალო დეტალების ლოთი და ალეკოლიეური სიგნებით. („ბზის ამოსელის წინ") ავტორს დასახული ჰეეს როგორც დიდი ტრაგიეული ფიგურები. ერაეზე თეის ატავისტური დაწეეელით, შემეიდრეობის ალეკოლით მის წყალობით ღუპავს მიეულ ოლაზს და ეს დაღუპეა ავტორს აწერილი აქეს ისეთი სიმძლავრით რომ ჰერება ცხოვრების ყოველივე წვრილმანი და ჩვენ წინ არის არა უბრალო ნატურალისტური დრამა, არამედ დიდი სოციალური ტრაგედია რომლის ქეეშ დღესაც ჰეეეა ევროპეული გათეეეეულებული ხალხი.

ჰ. ბოუტმანის ნაეი ძრავალ ცხრივთა და ვერ ვიტეეით რომ—იგი ნატურალისტია მხოლოდ 1894 წელში მან დასწერა „ფეხორები". აქ კიდევ მეორე

ᲦᲐᲗᲘᲡᲛᲨᲝᲒᲔᲚᲘᲡ ᲦᲣᲔᲢᲘ ᲡᲘᲝᲚᲜᲨᲘ.

იბილავს სიონს ქალბატონი დარეხილ სახით,
სიონს, რომელსაც დაეფერნდა სანთელი ერთი.
და გადაკრული წმინდანებზე ძველი ტალახი
ამოითხრება მის თვალებში სოელ სახარეთ.

უხსოვარ ასულს სურს იტიროს იდუმალ შეიღზე.
უნდა სიონი აიტანოს თიხის მთვარეზე.
ო, ვინ დაითვლის ობის ცრემლებს დიდ პინაშეიღზე.
და ვის დაიტევს სასიკვდილოდ ეს ასპარეზი.

სანთელი ჩალის მკრთალ მადონას დიდხანს ელოდა.
(მადონას წინეთ თოვლის ბავში ხელში ეკავა)
და თაფლის დუეტს იძერებენ ხატის ჩეოდნან
თითქოს ქალბატონს შემოერტყა ისეე წელაკავი.

ხანთელი
ჩენი გზა მიდის ვარსკვლავებით ქრისტეს ტუჩებთან.
სიწყალო ქალო! დაგეცემა სეედა უსჩენი
მაღალი მთვარე მოწამლული გატყდება ჩემთან.
მთვარის მადონა! ხარ დაღვრილი მიწა უსქესო!
ქალბატონი

ო, ეს დუეტი დაფენილი თეთრ ქვირეებზე.
და გაყინული სამედამოთ ცრემლების მხარე
დაერჩით ობლები (სიმარტოვე ვის გაკვირვებს)
მორეკავს ღრუბლებს დაობებულს ქარი მწუხარე

დუეტი
— დაგვნათის მთვარე დათენთილი: ტანგის ემბაჩი.
— თითქოს ბაღებიც სერაფიმეს ასაელებს მეტათ.
— ღამეა დიდი და მოველით ჩვენ გათენებას.
— ჩამოიწეება ეს სიმღერაც სახლის სონეტათ.

შალვა ოფხაიძე

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ.

სტრინდბერგი.

მოქმედნი პირნი.

ბისკრა—არაბი ქალი.
იუსეფი—მისი საყვარელი.
გიმარი—ფრანგი, ოფიცერი.

არაბული ალჟირში, ფერმასთან ახლო. ბისკრა ზის ფანჯრის ერთ მხარეს, ხელებზედ ეყრდნობა, ჩაფიქრებულა. ფანჯრის მეორე მხარეს ზის იუსეფი და ეწევა ჩიბუხს. ოთახის ბოლოში ფანჯრის წინ ეწყო ტახტი და ბალიში.

გამოსვლა პირველი.

შეშოდის ბისკრა სახეზე ყაბალახ დაშვებული. ზურგზე ჩონგური ჰკიდია. დაეშვება ნოხზე და ლოკნებს გულხელქერეული. გარეთ ქარი ჰქრის.

ბის.—ლა იქლაბ ილლ ალლაბ!

იუს.—(შეშოხრის) სამუში გეიახლოედებაო!.. სად არის ფრანგი?

ბის.—მოეა ახლავე.

იუს.—რატომ იქვე არ მოეალი?

ბის.—არა, თითონ უნდა მოიკლას თავი. მე რომ მოვკვდე, სარდალი მოგვლს ჩვენს ტომს ამოელებდა, რადგან მე გზის მაჩვენებელი ალი ვეონივარ, თე უკვე არ მიმხედრია, რომ ქალი ვარ.

იუს.—თითონ მოიკლავს თავს? და მერმე როგორ?

ბის.—განა არ იცი რომ სამუში ახმობს თეთრია ტკენს, როგორც ინდიხურმას და ისეთ ამაზრდამცეს სურათებს წარმოადგენს, რომ სიცოცხლეს შეაძაგებს და დიდ სიდუხჭირეში ჩასვენებას ანატრებს.

იუს.—ჰო, გამიგონია რაღაც მაგგვარი. უკანასკნელად ექსმა ფრანგმა მოიკლა თავი. მაგრამ დღეს ნუ მიენდობით სამუშო-მთაში თოფი და ნახევარ საათის შემდეგ ქარი ჩადგება. შენ კიდევ შეგიძლია მძეულვარება?

ბის.—შემიძლია თუ არა მძულვარება? ო, ჩემი მძულვარება უსაზღვროა, ვით ცხარი უდაბნო, მწველია ვით მზნეცეს და გულადობას, რომ მათ ვე ღი არ გაუტყდეთ საქმეზედ გული არ აიცრუონ და თავისგან არჩეულ კილოს სკოლა ქართული მწერლობის ასპარეზზედ მძლავრის სინათლით გააჩაღონ, მათი პოეზიის კილოს აქვს მრავალფეროვანი მნიშვნელობა და მას დიდი მოსავალიც ექნება ქართულს მწერლობაში. ამითის მეოხებით დღეის შემდეგ ქართველებში ეველარც ადგილათ გაჩნდებიან ისეთი მჯლაბნავნი, როგორნიც აქამდის სჩნდებოდენ უადგილესათ.

ამ წერილის დასასრულ ვიტყვით შემდეგ შენიშვნას:

ჩვენი შეგნებული ინტელიგენცია და დაწინაურებული მწერლებიც, ჩვენს აწინდელს ცხოვრებაში, ყველა დარგის წარმატებაში ეეოლუციის კანონებს მისდევენ აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენსა მებაღეთე მჯლაბნავებმა და აწუტებმა გარდა პოეზისა, მარჯვენს ქართული ენაც თავისი სომხური კილოთი, ვიხიდან აწუღები მომატებულ სიმხნეს იყენენ და მთავარი აწუღები სულ სომხები. ქართველებში იყვნენ მესტვირეები, რომელთაც შესწევთ ენის სისუფთავე და მარილიანი თქმა. სამწუხაროდ, დღესაც ამ აწუღების გალტერატურებული მემკვიდრეები ძნით დღესაც ხშირს აყენებენ ქართულ ენასა და ქართულ პოეზიას და ეშორჩილებიან მას.

მეც ამას ვსთვლი ჩემი წერილის უმთავრეს საფუძვლათ და მეც ვალიარებ იმასაც, რომ ქართული პოეზიაც უნდა მიდიოდეს წინ იმავე ევოლუციის კანონებით.

ეხლა დროც გახლავსთ ამისი და აი სწორეთ ამ ფუტურისტების მოვლენას ესთული ქართული პოეზიის გასუფთავება და გაწმენდის მალამოთ.

ზაქარია ჭიჭინაძე

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ.

სტრინდბერგი.

მოქმედნი პირნი.

ბისკრა—არაბი ქალი.
იუსეფი—მისი საყვარელი.
გიმარი—ფრანგი, ოფიცერი.

არაბული ალჟირში, ფერმასთან ახლო. ბისკრა ზის ფანჯრის ერთ მხარეს, ხელებზედ ეყრდნობა, ჩაფიქრებულა. ფანჯრის მეორე მხარეს ზის იუსეფი და ეწევა ჩიბუხს. ოთახის ბოლოში ფანჯრის წინ ეწყო ტახტი და ბალიში. გარეთ ქარი ჰქრის.

გამოსვლა პირველი.

